



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბართოლომეი, ბართოლომეი ივანე ალექსის ძე

ბართოლომეი, ბართოლომეი (Bartholomei) ივანე ალექსის ძე (28. XI. 1813, პეტერბურგი, – 5. X. 1870, თბილისი), რუსი პედაგოგი და ნუმისმატი.

გენერალ-ლეიტენანტი, პეტერბ. აკად. წ.-კორ. (1856). 1850-იდან მსახურობდა ჩაჩნეთში, აფხაზეთსა და თბილისში. 1853 დიპლ. დავალებით გაიგზავნა სვანეთში. მან გარკვეული როლი ითამაშა სვანეთის რუსეთთან შეერთების საქმეში. შეაგროვა ქართ., ბაქტრიული, პართული და სასანური მონეტების მდიდარი კოლექცია, რ-იც შემდგომ ერმიტაჟს გადასცა. იკვლევდა ნუმისმატიკის, კავკ. ეთნოგრაფიისა და ეპიგრაფიკის, აგრეთვე კავკასიური ენებისა და მათი ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს. 1855 გაზ. „კავკაზში“ (№ 70) გამოაქვეყნა ნაშრომი: „ეგრეთ წოდებული მიძვეგური ენების შესახებ, რომლებიც დღემდე ცნობილია მხოლოდ კლაპროტის შედარებების მეოხებით“. ბ-მ უარყო ტერმ. „მიძვეგური ენები“ და მის ნაცვლად შემოიღო „ჩაჩნური ენები“.

თბზ.: Letters numismatiques et archéologiques relatives á la Transcaucasie, St.-Pb., 1859; Collectio de monnaies Sassanides..., St.-Pb., 1873.

შ. ხანთაძე

ი. გავომიძე
